ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:**ბ130. 130260301**

თარიღი:**30/01/2026**

თიანეთის მუნიციპალიტეტის დასახლებებში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით დასახლების საერთო კრების/რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების ინიცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ი“ ქვეპუნქტების, 85^3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „თ“ ქვეპუნქტების, 85^4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-13 და მე-15 პუნქტების და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილებით დამტკიცებული პროცედურების და კრიტერიუმების პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 400 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს რესგიტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციები ამ ბრძანების №1 დანართით განსაზღვრულ თარიღებში.

2. თითოეულ დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ამ ბრძანების №1 დანართის მიხედვით.

3. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და რეგისტრირებულ ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით:

-დასახლებაში განსახორციელებელი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანასებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

4.დამტკიცდეს საპროექტო წინადადებების ფორმა N2 დანართის შესაბამისად.

5. ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურს და მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

6. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ყოველდღე 10-დან 18 საათამდე, 2026 წლის 21 თებერვლამდე . აგრეთვე, ელექტრონული ფოსტის გზით შემდეგ მისამართზე: tianetigamgeoba@gmail.com.

7.დასახლების საერთო კრების ოქმის (დანართებთან ერთად) დასკანერებული სახით, წარდგენა მერიაში უნდა მოხდეს შესაბამის ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ, დასახლების საერთო კრების /კონსულტაციის/ გამართვიდან 3 დღის ვადაში.

8. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ შესაბამის ერთეულში მერის წარმომადგენლები:

ინგა მაისურაძე -ტელ: 555 60 65 03 ელ ფოსტა maisurainga@gmail.com ჟეობოტის ადმინისტრაციული ერთეული.

სოსო გიგაური -ტელ: 599 07 48 15 ელ ფოსტა sgigauri57@gmail.com დ.სიონის ადმინისტრაციული ერთეული.

ზურაბ ჯიმშიტაშვილი -ტელ: 577 59 68 41 ელ ფოსტა zurabjimshitashvili58@gmail.com ჩეკურაანთგორის ადმინისტრაციული ერთეული.

შოთა წიკლაური -ტელ: 555 04 03 02 ელ ფოსტა shotiawiklauri116@gmail.com სიმონიანთხევის ადმინისტრაციული ერთეული.

გოჩა ჯანგირაშვილი -ტელ: 595 22 16 53 ელ ფოსტა gochajangirashvili72@gmail.com ზარიძეების ადმინისტრაციული ერთეული.

მალხაზ ნადირაშვილი -ტელ: 5 92 81 01 50 ელ ფოსტა nadirashvili242@gmail.com ნაქალაქრის ადმინისტრაციული ერთეული.

ცეზარ ღუბიანური -ტელ:595 05 15 83 ელ ფოსტა tsezargubianuri@gmail.com ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეული.

ალექსანდრე ბაგაშვილი -ტელ:577 61 64 64 ელ ფოსტა abaga4611@gmail.com ტუშურების ადმინისტრაციული ერთეული.

ვაჟა ხარხელაური -ტელ: 5 79 05 99 95 ელ ფოსტა vajakharkhelauri@gmail.com ხევსურთსოფლის ადმინისტრაციული ერთეული.

დავით ქისტაური -ტელ: 599 27 37 22 ელ ფოსტა datogistauri9@gmail.com ღულელების ადმინისტრაციული ერთეული.

ჯურხა ჯაბუშანური -ტელ: 593 43 38 43 ელ ფოსტა jurxajabushanuri@gmail.com არტნის ადმინისტრაციული ერთეული.

9. დაევალოთ შესაბამის ერთეულში მერის წარმომადგენლებს აღნიშნული ბრძანების ადმინისტრაციულ შენობაზე/დასახლებაში მდებარე საჯარო შენობებზე საჯაროდ განთავსება.

10. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის, საქმის წარმოების და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას აღნიშნული ბრძანების პროაქტიულად გამოქვეყნება.

11. ბრძანება ძალაშია გაცნობის დღიდან.

12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ 17.

ლევან წიკლაური

თიანეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი